თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N3

2024 წლის 18 მარტი

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ლევან ბერძენაშვილი, დავით ღაღანიძე, ზურაბ მოსახლიშვილი, მიხეილ დაღუნდარიძე, ალექსანდრე შათირიშვილი, აბრაამ მახარიაშვილი, ნატალია ბახსოლიანი, ბაადურ გულიაშვილი, გელა ესიტაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის **უფროსი ზურაბ სახიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი **ნინო ასანაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი **ნიკოლოზ ესიტაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე,** დაინტერესებული პირი-**ნათია ქარჩაიძე,** მოქალაქე **არჩილ მჭედლიშვილი.**

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

   მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

   მომხს.თ. ხანჯალიაშვილი

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

აზრი გამოთქვეს: თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტომ მოითხოვა, შემდგომში ა(აიპ) „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-სთვის გადასაცემად, სოფელ შალაურში მდებარე 214კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 53.06.41.149., თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული ახალი სამედიცინო ამბულატორიის მოსაწყობად, რაც ხელს შეუწყობს სოფლად სამედიცინო მომსახურების განვითარებას.

ზურაბ სახიაშვილმა განმარტა, რომ სოფელ შალაურში არსებული სოფლის ამბულატორიის მიმდებარე მიწაზე „ჰოლდინგი" ააშენებს ახალ ამბულატორიას.

დავით ღაღანიძემ გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

დავით ღაღანიძის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე

მოისმინეს 2: უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ ა(აიპ) „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი" ითხოვს ქ. თელავში დავით რექტორის ქუჩა N8-ში მდებარე N02/1შენობა-ნაგებობაში არსებული 150,6 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის ს/კ 53.20.46.188 უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ორი წლის ვადით სარგებლობაში გადაცემას.

ნათია ქარჩაიძემ განმარტა, რომ 2005 წლიდან დღემდე სარგებლობაში აქვთ აღნიშნული ფართი. ამ პერიოდში ყოვლად გამოუსადეგარ მდგომარეობაში მყოფ შენობას საკუთარი ძალებით ჩაუტარეს რეაბილიტაცია, შენობა უზრუნველყოფილი იქნა ბუნებრივი აირით და ელექტროენერგიით.

მიმდინარეობს პროექტები სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით, არაფორმალური განათლების, დასაქმებისა და სხვადასხვა სერვისების მიწოდება.

დავით ღაღანიძემ გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

გადაწყვიტეს: პროექტი უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე

ბაადურ გულიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კომისიამ შეისწავლოს უკანასკნელ დროს ტელევიზიის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით თელავის მერიას გააჩნია მსუბუქი ავტომანქანების ბევრად მეტი რაოდენობა.

თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ კომისია საკითხთან დაკავშირებით გამოითხოვს ინფორმაციას მერიის შესაბამისი სამსახურებიდან.

კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**